

**საბანკო მომსახურების პირობებს დამატოს 10.9 პუნქტი შემდეგი რედაქციით:**

- 10.9. კლიენტის მიერ **ბანკის** წინაშე შესასრულებელი ნებისმიერი ვალდებულების (მათ შორის კლიენტის მიერ უშუალოდ **ბანკთან** ურთიერთობაში წარმოშობილი თუ **ბანკის** მიერ **მესამე პირისგან** შეძენილი მოთხოვნის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების) სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად **ბანკის** უფლებებისა და მოთხოვნების რეალიზების მიზნით, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტის შემდგომი/დამატებითი თანხმობის ან/და აქცეპტის ან/და ინფორმირების გარეშე:
- 10.9.1. არ შეასრულოს კლიენტის წინაშე არსებული ნებისმიერი ვალდებულება, მათ შორის არ გადაუხადოს კლიენტს მისთვის გადასახდელი ნებისმიერი თანხა, რაც შესაბამისი მოცულობით ჩაითვლება (გაიქვითება) კლიენტის მიერ **ბანკისათვის** შესასრულებელი ვალდებულების, მათ შორის გადასახდელი თანხის, ანგარიშში. **ბანკი** უფლებამოსილია ვალდებულებათა გაქვითვა განახორციელოს იმ შემთხვევაშიც თუ ერთ-ერთი მოთხოვნის (შესაბამისად **ბანკის** ან კლიენტის მოთხოვნის) შესრულების ვადა არ იქნება დამდგარი გაქვითვის განხორციელების მომენტისათვის; ან/და
- 10.9.2. კლიენტის ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის მასთან მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **ანგარიშიდან**, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად; ან/და
- 10.9.3. შესაბამისი გადასახდელის ოდენობით კლიენტის ნებისმიერი სახის **ანგარიშზე** არაუმეტეს ერთი წლის ვადით უაქცეპტოდ, **ბანკში** დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად დაუშვას **ოვერდრაფტი** ან/და გაზარდოს არსებული **ოვერდრაფტის** მოცულობა და შესაბამისი თანხები მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად. აღნიშნული მიზნით, კლიენტი ცალსახად და უპირობოდ ადასტურებს, რომ:
- 10.9.3.1. თუკი ამ დროისათვის კლიენტის **ანგარიშ(ებ)ზე** უკვე დაშვებულია **ოვერდრაფტი**:
- (ა) ასეთ შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია ერთპიროვნულად (კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე) გაზარდოს **ოვერდრაფტის** მოცულობა შესაბამისი გადასახდელის ოდენობით;
  - (ბ) გაზრდილი **ოვერდრაფტის** ფარგლებში ათვისებულ თანხებზე გავრცელდება შესაბამისი **ოვერდრაფტის** ხელშეკრულებით დადგენილი პირობები;
  - (გ) კლიენტის **ანგარიშზე** თანხ(ებ)ის ჩარიცხვის შემთხვევაში დაშვებული **ოვერდრაფტის** მოცულობა ავტომატურად შემცირდება **ოვერდრაფტის** ხელშეკრულებით დადგენილ ოდენობამდე.
- 10.9.3.2. თუკი ამ დროისათვის კლიენტის **ანგარიშ(ებ)ზე** არ არის დაშვებული **ოვერდრაფტი**:
- (ა) ასეთ შემთხვევაში, არ არის აუცილებელი **მხარეთა** შორის გაფორმდეს **ოვერდრაფტის** ხელშეკრულება ან/და სხვა რაიმე დოკუმენტი და **ბანკი** უფლებამოსილია კლიენტის **ანგარიშზე** **ოვერდრაფტი** დაუშვას ერთპიროვნულად;
  - (ბ) **ოვერდრაფტი** დაიშვება შესაბამისი გადასახდელის ოდენობით;
  - (გ) **ოვერდრაფტის** ფარგლებში ათვისებულ და შესაბამისი გადასახდელის დასაფარად გადახდილ თანხას დაერიცხება **საპროცენტო სარგებელი ბანკში** დადგენილი მაქსიმალური ოდენობით;
  - (დ) **ოვერდრაფტი** დაიშვება 3 (სამი) თვის ვადით და ათვისებული **ოვერდრაფტის** თანხების დაფარვის ვადის გადაცილების შემთხვევაში, გადაუხდელ თანხებს დაერიცხება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0.5%-ის (ნული მთელი ხუთი მეათედი პროცენტის) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
  - (ე) **ოვერდრაფტზე** გავრცელდება **პირობებით** გათვალისწინებული სხვა დებულებები.